# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 410

„16" აგვისტო 2024 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქუჩა მიცკევიჩი, №6-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.14.031.066) პირდაპირი განკარგვის წესით, ირინე გველესიანისთვის (პ/ნ. 01008023229) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ, 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.031.066) პირდაპირი განკარგვის წესით ირინე გველესიანისთვის (პ/ნ. 01008023229) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №24.1308.1440 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ქუჩა მიცკევიჩი, №6-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.14.031.066) პირდაპირი განკარგვის წესით, ირინე გველესიანისთვის (პ/ნ. 01008023229), კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 26 სექტემბრიდან 5 (ხუთი) წლის ვადით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე